

მოსწავლის  ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

ჩემი თავგადასავალი და სხვა მოთხრობები



ილუსტრატორი თემურ ფხიკიძე



გაქურსულაქაურის
გამომცემლობა

შინაარსი

ოქროს წყაროს ზღაპარი.....	5
კრიჭ და ხრიმ.....	13
დათუნა გოცირიძე.....	27
მელოტები	32
ძალღი და ცხვრები	37
კიკოლას ნამბობიდან	39
მამალი რას ყივის.....	48
ბროწეულის წყარო	53
ქართული ფულის თავგადასავალი.....	63
დავითის გვირგვინი	83
პატარა ტარიელი.....	88
ნამდვილი ამბავი I.....	103
სოფელ აღის აოხრება	105
როგორ გადაყვა თავ. გოჯასპირ თავის უღვაშებს....	111
ვარდი და ეკალი.....	124
ღამურა	131
მერცხლისა და ჭივჭავის ომი.....	142

მესარკე.....	147
სნეული მზეთუნახავი.....	149
კურდღელი.....	153
ნაცარქექია.....	156
ბრიყვი და ჭკვიანი.....	160
მოსწავლე და მასწავლებელი.....	163
თოხიტარა.....	167
კუდაბზიკეთი.....	179
ჩემი თავგადასავალი.....	186

ოქროს წყაროს გღაპარი

8 ამთრის გრძელი ღამეების შესამოკლებლად გადიაჩემი ზღაპრებს მეუბნებოდა ხოლმე. ზოგიერთი მათგანი დღესაც გულისფიცარზედ მანერია... მახსოვს, ერთს მკაცრს ზამთარში, როდესაც შავი-უკუნი სარკმელებში საზარლად იხედებოდა და ქარიშხალიც გარეთ ისე გულსაკლავად ზუოდა, რომ თითქოს სიცვივისაგან ატანილი, თბილ ოთახში შემოშვებას იხვეწებო, – გამხიარულებულ ბუხრის წინ შვლის ტყავზე რბილად და თბილად ვიჯექ და სულგანაბული ყურს ვუგდებდი გადას: იმ დროს ის ამბობდა „ოქროს წყაროს“ ზღაპარს.

საზოგადოდ, ჩვენს ზღაპრებში მზეთუნახავები ისე არ გამოდიან თავის ცხრაკლიტულიდამ და არ ნებდებიან საქმროებს, თუ არ ჭიდაობითა და გამოცანებით: სასიძო მიდის მზეთუნახავთან იმ პირობით, რომ დაეჭიდოს და დასცეს და ან გამოცანა ახსნას, თუ აჯობა ან ერთში, ან მეორეში, ხომ კარგი: ცოლად წაიყვანს; და თუ ვერა, მაშინ თავს მოსჭრიან და სარზედ ჩამოაცმენ... ამგვარად, მთელი მესერი სასიძოების თავებით არის შემოყოლებული! ეს იმას ნიშნავს, რომ ძველ დროში ხელძალუმობასა ჰქონდა ფასი, და კაცი ისე ვერ აისრულებდა თავის სურვილს, თუ არ ბრძოლითა და შეჭიდებით; ან უნდა მომკვდარიყო, და ან უნდა ჩაეგდო ხელში მისი საძებარი საგანი, მისი მზეთუნახავი.

გამოცანები ნიშნავენ, რომ ჭკვასა და ხერხსაც ჰქონია

ფასი იმ დროს, მაგრამ ისიც კი სხვა ხასიათისა ყოფილა მაშინ, სხვა პირობები სდებია.

ჩვენი „ოქროს წყაროს“ მზეთუნახავი კი არ ეკუთვნის საზოგადო მზეთუნახავების დასს! ის იყო სამხრეთის, ანუ სომხეთის მეფის ქალი და, წინააღმდეგ მზეთუნახავების ჩვეულებისა, გამოაცხადა, რომ ჩემთვის თავს ნურავინ მოიკლავთო! მე მხოლოდ იმას შევირთავ, ვინც მომეწონება და მომეწონება მხოლოდ ის, ვისაც ოქროს ხუჭუჭიანი თმა ექნებაო!

ტკბილ გუნებისაგან სისხლადღეღებული ახალგაზრდა სასიძოები შეუდგნენ ოქროს ხუჭუჭიანი თმის მოპოვებას.

ხმა იყო, რომ აღმოსავლეთისაკენ, უგზო-უკვლო ქვეყანაში, ერთს უდაბურში, კლდის ძირას გამოჩუხჩუხებს „ოქროს წყარო“ და ვინც იმ წყაროს წყლით თავს დაიბანს, ოქროს თმა გამოესხმისო. აუკიდეს კამარა, დაადგნენ აღმოსავლეთის გზას სასიძოები.

ერთხელ ერთი მათგანი, ხანგრძლივის მგზავრობისაგან დამაშვრალი, დაადგა აღმოსავლეთის გზას. დაფიქრებული მილოღავდა ნელ-ნელა. უცბად მის წინ მალლიდან კვირისტავი დაეცა. აიხედა მალლა და დაინახა, რომ გზის პირად, მალალ კლდეზედ ერთი დედაბერი იჯდა და თითისტარით ძაფს ართავდა.

– დედაშვილობას, ეგ კვირისტავი მომანოდეო! – მიაძახა მოხუცმა. მგზავრმა აუტანა კვირისტავი და გამარჯვებაც უთხრა.

– ბებია, მათუსალა ხომ არა ხართ? – ჰკითხა ყმანვილმა.

– არა, შვილო, მათუსალაზე უფრო ხნიერიცა ვარ, მაგრამ სახელი კი არა მაქვს მისთანაო!

– დედაშვილობამ, კაცის რამე სახელი შემთხვევაზედ არის დამოკიდებული: ზოგისას ცოტას დაიხსომებენ და ზოგისას კი ბევრსაც დაივინებენო.

– კი, შვილო... მაგრამ ეგრე რას დაუღონებიხარ? ვინ სიჭაბუკე და ვინ ჭმუნვა? მაგ ხანში მხოლოდ სიხარული შეგშვენის!..

– ბებია, ქვეყნის ამაოება მაკვირვებს... ვფიქრობ და ვერ მიმხვდარვარ: რა ვართ ჩვენ ამქვეყნად და ან რა არის თვითონ ეს ჩვენი ქვეყანაც?!

– აი, შვილო, რა არის, – დაატრიალა თითისტარი, – ქვეყანა ეს არის; ასე ტრიალებს, ჰა... ადამიანობა ბამბის ქულაა, და მისი ცხოვრება ეს ნართავი ძაფი: თუ დროზედ არ მიეშველე და დართული ძაფი მაგრად თითისტარზე არ დაახვიე, მეტის ტრიალით ძაფი დაიხვეწება და ან ისევე უკულმა დაიცარება!.. საქმე დროზედ მოსწრებაა!

ამ დროს ძაფი გასწყდა და თითისტარი ძირს დაეცა. აილო დედაბერმა, ძაფი ძაფს მიასკვნა და განაგრძო ისევე რთვა.

– აი, შვილო, ხომ დაინახე, როგორ გამოვსკვენი განწყვეტილი ძაფი? ძვირად მოხერხდება ისეთი მთელი თითისტარის დართვა, რომ ერთხელ მაინც არ გასწყდეს ძაფი... იცოდე, რომ ჩვენს მოკლე ხნის სიცოცხლეშიაც ასე წყდება ხოლმე სიხარულის ძაფი!.. უიმისობა არ ხერხდება; მაგრამ ნეტავი იმას, ვისაც უფრო ნაკლები ნასკვი ექნება!.. მაგრამ, ეჰ, დავანებოთ თავი ამაებს! საით მიეშურები?

– აღმოსავლეთისაკენ, „ოქროს წყაროს“ საპოვნად და გზაც ხომ ეს არის ჯერჯერობით?

– დიახ, პირდაპირია... მაგრამ... ჰმ!..

– მაგრამ რაო?

– ჰმ! ჰმ... მაგრამ რა ვქნა, შვილო, მართაღს გეტყვი და არ მიწყინო: ამკვლევი ბევრი მინახავს და ჩამომკვლევი კი აღარა!

– როგორ? ყველანი დაიღუპნენ? აღარავინ დაბრუნებულა?

– როგორ არა, მაგრამ ის დავინწყებოდათ, რისთვისაც მიდიოდნენ! „ოქროს წყაროსათვის“ თავი დაენებებინათ და ოქროქსოვილს გამოსდგომოდნენ, მუცელმერთობას შესდგომოდნენ. ვაი, თუ შენც ისე მოგივიდეს და მებრალეები, შვილო!

– როგორ?! და მერე რამ უნდა დამავინყოს ეს ჩემი აზრი?

– სისუსტემ!.. კაჟის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ არ გაუტყდეს უბედურებაში! შენ კი გაგაფრთხილებ, შვილო, თუ დამიჯერებ: ეგ გზა მძიმე აგირჩევია, შვილო, მაგრამ მამაცობა გმართებს: ნუ მოერიდები ავდარს, საფრთხეს ნუ გაექცევი, ჭირს ნუ შეუშინდები, ჰკაფე ეკლიანი გზა, ზედ ოფლი და სისხლი ანურე... აქეთ-იქით განზედ ყურებას ნუ დაიწყებ, თორემ მარჯვნივ ოქროს ნალკოტს დაინახავ მშვენიერის ხეხილით, სული წაგძლევს და თუ იქ შეგიტყუეს, გათავდა შენი დღევანდელი სურვილი!.. მარცხნივ ერთი მარმარილოს კოშკი სდგას. იქიდან ერთი მზეთუნახავი იმზირება, თავსაფარს დაგიქნევს, თავალს წაგიხდენს, მხარს მოგიქცევს, შეგიტყუებს და დაგავინყებს შენს აღთქმებს! როგორც ამ კოშკში, ისე იმ ნალკოტშიაც გაგამუცელმერთებენ.

გამოეთხოვა დედაბერს დაჩემებული ჭაბუკი. გულმაგრად დაადგა გზას. არ მიიხედა მარჯვნივ, მოშორდა

ოქროს წალკოტს. მაგრამ, ბოლოს, როდესაც დაიქანცა ხანგრძლივის მგზავრობით, უნებურად მიიხედა მარცხნივ, მოავლო თვალი მზეთუნახავს. უღალატა გულმა და შეჰყო თავი მარმარილოს კოშკში. ასე, ამგვარად, ახალგაზრდა სასიძოები ზოგნი მარჯვნივ ოქროს ბაღში შედიოდნენ და ზოგნი კოშკში: ავინყდებოდათ „ოქროს წყარო“ და ჩვენი ნაცნობი დედაბერი კი სულ იქვე იჯდა გზის პირად და ამვლელს ჰხედავდა და ჩამომვლელს კიველარა!

ვინც კი რომ დაუკვირდება ამ ზღაპარს, შიგ ჩვენ ახალგაზრდობას დაინახავს, რომელიც შუა გზაზედვე უხვევს და ივინყებს თავის ალთქმებს: „იქ“ ბევრს ვიცნობდით თავგანწირულ პატრიოტებს, მაგრამ აქ კი დღეს, მათ პატრიოტობა კუჭის პატრიოტობად გადაქცევიათ, რადგანაც მაშინ იგონებენ სამშობლოს, როდესაც მწვალებსა სჭამენ და კახურსა სმენ.

ვიცნობდით იქ ლიბერალებს, რომელნიც დღეს აქ სხვა ალთქმისანი არიან: ის ძველი გრძნობა და აზრები მოუკლავთ და ლიბერალების „აზრიკალები“ გამხდარან!

ვილას ახსოვს „ოქროს წყარო“ და ცხრაკლიტულიდან გამოსაყვანი მზეთუნახავი?!

აი, რა სურათს წარმოადგენს დღეს ჩვენი ცხოვრება:

გზის პირად ერთი დიდი ტალახის მოედანია. შიგ ბევრი კაცი ჩაცვნილა. ზოგი სიამოვნებით ჰგორავს იმ ტალახში, და ზოგნი კი, თუ თვითონ ასხლეტიათ როგორმე ფეხი და ჩაცვნილან, სცდილობენ ტალახიდან გამოსვლას, ფართხალობენ, ხან მარჯვნივ მიდიან, ხან მარცხნივ და უფრო და უფრო კი იფლობიან ტალახში. იხვენებიან და მშველელი კი არსადა სჩანს! აი, გამოიარა

ერთმა მშვენიერმა და წმინდად ჩაცმულმა კაცმა, დაინახა, მაგრამ არ მიეშველა!

– რად მივეშველო, – ამბობს, – ხომ უნდა ჩავიდე მეც იმ ტალახში და ფეხები გავისვარო? ჯანი გავარდესთ, დაილუპონ, ჩემი ბრალი ხომ არ არისო?!

ამ სიტყვებით ჩაუარა გვერდი და მივიდა ერთს სახლში, მეჯლისში და იქ სიამოვნებით მიიღეს, როგორც წმინდა და პატიოსანი კაცი!

მართალია, მის სინიდის ერთი ნიშანი კი ჩირქად მოედო, მაგრამ იმის დანახვას გონებითი თვალი უნდოდა და ვინ ხმარობს იმას ამ დროში ჩვენში. გარეგნობით ყველას მოეწონა ის წმინდა ახალგაზრდა და ქება შეასხეს.

გამოიარა მეორემ, დაინახა ტალახში მგორავები, შეეცოდა და მოინდომა მათი შველა; მაგრამ ჩასვლა და ფეხების გასვრა ვერ გაბედა: ხალხი გამკიცხავსო, შიშობდა: დაიწყო მოთქმა და ტირილი ტალახში ჩაცვენილების უბედურებაზე, მაგრამ მოშორდა მათ და თვალცრემლიანი შევიდა მეჯილსში. აქ იმის მიზეზი რომ გამოიკვლიეს, გიჟად ჩასთვალეს და სიცილი დააყარეს.

გამოიარა მესამემ და, დაინახა თუ არა გაჭირვებულები, ჩადგა ტალახში, არ მოერიდა ფეხების გასვრას, ურომლისოდაც არ მოხერხდებოდა მიშველება, ამოიყვანა რამდენიმე და მერე წავიდა მეჯლისში. მაგრამ აქ ბატონებმა რომ ფეხგასვრილი ნახეს, გამოაგდეს შერისხული. ტყუილად ამტკიცებდა საბრალო, რომ ჩემის სარგებლობისათვის არ გამისვრია ეს ფეხები, ეს კეთილი საქმის ბრალიაო, და სხვანი. დასცეს კიჟინა და გამოაგდეს შეუბრალებლად.

გამოიარა მეოთხემ, და რომ დაინახა ტალახში ჩაცვე-



ნილები, ისარგებლა მათის უბედურობით: გადახტა ტალახში, შედგა სანყლებს გულზე და ძირამდი ჩაიტანა; რაც რამე გააჩნდათ, ნაართვა, დაძარცვა სანყლები, ბევრიც იშოვნა და გამდიდრებული მივიდა მეჯლისში... ჯერ იუცხოვეს აქ და მოუნდომეს გამოგდება, მაგრამ როცა იმის სიმდიდრეც ნახეს, თვითონვე შეინანეს, გადათქვეს და ამტკიცებდნენ, რომ გვეჩვენება, თორემ წმინდა ფეხი აქვსო, და სხვა. აი, სწორედ ამ სურათს წარმოგვიდგენს ახლანდელი ჩვენი ცხოვრება. დაირღვა ბაბილონის გოდოლი და აირია ენები, ზნეობა. ამისთანა დროში თუ არა შეერთებული მოქმედებით, კერძო მუშაობით არა კეთდება რა, მაგრამ ეს არ ხერხდება და რატომ? მიტომ, რომ ვისაც ვარსკვლავთმრიცხველი ჰგონია თავის თავი, ის ყველას და ყოველთვის მაღლიდან უყურებს და არ ჰკადრულობს გვერდით ამოდგომას. ვისაც ქიმიისათვის უსუნებია, იმას დიდად მოაქვს თავი და აღარას კადრულობს. ვისაც ისტორია გაუგონია, ისიც იბერება. ერთი სიტყვით, ვისაც კი ერთი რამ წიგნი ნაუკითხავს, თავი ყველაზე უბრძნესი ჰგონია და აღარას კადრულობს, თუმცა ამაების ყველას ცოდნა და სიბრძნე კი ერთს კვერცხის ნაჭუჭში დაეტევა.

ბრიჭ და სრიშ

დალაქის თავგადასავალი

ბევრი კაცის თავი ჩამვარდნია ხელში და ბურთივით იქით-აქეთ მიტრიალებია!.. ცოტა-რამ ყოველთვის კიდეც დამიკლია მათთვის, მაგრამ ჩემზედ გული არავის დასწყვეტია!.. ვინ დასთვლის, რამდენისათვის მიტაცნია წვერში ხელი და რამდენის უღვაშს შევხებივარ, მაგრამ არვინ გამრისხებია; ბევრს თავის ნებით ყელი გამოუშვე-რია ჩემთვის, მაშინ როდესაც ხელში მახვილი მჭერია... ბევრი სიცოცხლითვე შემისუდრავს, მაგრამ არავის გაჰკვირვებია!.. გნებავსთ, შეიტყოთ ვინა ვბრძანდები? – დალაქი! ერთი იგივეობა კაცს თავს აბეზრებს და ჩემი ხელობაც მოსაწყენი იქნებოდა, თუ რომ შიგადაშიგ ხშირად სასაცინო შემთხვევებით სამხიარულოდ არ იკაზმებოდეს. კვახი კვახსა ჰგავს, ნესვი ნესვის მსგავსია და საზამთრო საზამთროსაგან ძნელად გაირჩევა, მაგრამ ადამიანის თავი კი სულ სხვადასხვაა. მართალია, ერთის შეხედვით ყველა მოტყუვდება, მაგრამ ვინც კი დაუკვირდება – გაარჩევს; და ჩემი ხელობაც ხომ ისეთია: გინდა თუ არა, უნდა უცქირო! აი, გავაღე სადალაქო. მოდიან მუშტრები. ფეხბედნიერი იყოს თქვენი მობრძანება! შემოდის დიდი ვინმე. შესანიშნავია ეს ჩემი ხელობა: სად იწყება და სად თავდება?! გლეხი ჰკრეჭს ცხვარს, გლეხს – ეს ბატონი და ამას კი – მე, მაგრამ შედეგი კი სულ სხ-

ვადასხვა არის: გაკრეჭილი ცხვარი სიცივითა თრთის, გლეხი იწვის და იდაგვის, ამას კი – არცა სცივა და არცა სცხელა! რისი ბრალია? ჭკუის!.. დახეთ, დაბრძანდა მძიმედ სარკის წინ და ბრძნულად შეჰყურებს თავის სახეს; მეც ჩემის იარაღით მივდგომივარ უკანიდამ, ვუგდებ თმაში ჩემს მაკრატელს და ვაძახებ: „კრიჭ-კრიჭ! ხრიშ-ხრიშ!“ ჩუ! მეორესაც ჰკრეჭენ? ეს ვინლა შემომპარვია სადალაქოში და ჩავარდნია ხელში ჩემს შეგირდს? ვიხედები აქეთ-იქით. დალახვროს ღმერთმა! მეჩვენება!..

ვაგრძობ ისევ ჩემ საქმეს: „კრიჭ-კრიჭ!.. ხრიშ-ხრიშ!“ – ზემოდამ. „კრიჭ-კრიჭ! – ხრიშ-ხრიშო!“ – ქვემოდამ. ჰმ... ბანს აძლევს? ცარიელი ყოფილა!.. მაგრამ ვინ დაიჯერებს!.. ან კი როგორ დაიჯერონ?! ჭური ხომ არ არის, რომ ბადიმები (სარქველი) ახადონ და შიგ ჩაიხედონ... აბა, ეს ბობოლა ისეთი არ არის, რომ ვისმეს ასაწონად და გასაჩხრეკად ხელში ჩაუგდოს ის თავი, რომელიც მალლა უჭირავს და მის გამო ყველას დიდად აფასებინებს! მაგრამ მე კი ვერ მომატყუებს: ჩემთვის სულ ერთია, გინდ სავსე იყოს და გინდ ცარიელი: ამაზედ მეტად არც ვაფასებ და არც ვიღებ.

ეს კიდევ მეორე მუშტარი. ნეტავი ამას რალა უნდა? ამის მოტვლეპილ თავზედ ჰატივს თუ დააყრის კაცი და დათესავს რამეს, თვარა მოსაჭრელ-მოსამკელი არა სჩანს რა!.. ქვეყანაზედ ყვლეფის მეტი არა არის რა. პირველი შრომა და მუშაობა სხვისი ყვლეფაა. აი, ეს ადამიანი რომ ქვეყანას ჰყვლეფს და ამის თავი კი ერთს მცირე მიზეზს გაუყვლეფია. კისრისა და თავის შესაყართან ძლივსლა შერჩენია მცირეოდენი ღინღლი, მაგრამ პატრონი კი ხუჭუჭზედაც მეტად აფასებს და გულდაგულ